

პოტერია

საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო "**პოტერია**" 2018 წელს დაფუძნდა. საწარმოს დაფუძნების იდეა უკავშირდებოდა დამფუძნებელთა სურვილს, შეენარჩუნებინათ ქართული ტრადიციული რეწვის დარგის - თიხისა და კერამიკის დამუშავების ტექნიკა და პოპულარიზაცია გაეწიათ მისთვის. დამატებით, გუნდმა მიზნად დაისახა, ეზრუნა კანონთან კონფლიქტში მყოფ ქალებზე, რომელთა კერამიკის წარმოებაში ჩართულობასაც ორმაგი დადებითი შედეგი ექნებოდა - პროფესიული გადამზადება-დასაქმება და არტ-თერაპიული ეფექტი, რაც თიხასთან საქმიანობას ახლავს თან.
„პოტერიას" **სოციალური მისიაა** კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა ახალი პროფესიის ათვისებითა და შემოქმედებით სახელოსნოში დასაქმების მეშვეობით.

პროდუქცია

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ორი სახის პროდუქტს:

- **თეთრი თიხისგან დამზადებული, ე.წ. უტილის, სხვადასახვა სახის პროდუქტი**
- **თეთრი თიხისგან დამზადებული მზა სასუვენირო პროდუქტი დაბეჭდილი გამოსახულებით**

გარდა პროდუქციისა, სოციალური საწარმო დაინტერესებულ პირებს სთავაზობს თიხისა და კერამიკის კურსებს *"გამოძეხწე შენი ფანტაზია"*.

სოციალური შედეგები

- სოციალურ საწარმოში დასაქმებულია ძალადობის მსხვერპლი და კანონთან კონფლიქტში მყოფი ორი ადამიანი
- ფსიქო-სარეაბილიტაციო კურსს გადის ათი სხვადასხვა საჭიროების მქონე ქალი, ექვსი უკრაინიდან დევნილი პირი და ოთხი სხვადასხვა ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვი
- პროფესიული გადამზადების შემდგომ ეტაპზე, საწარმოს მოთხოვნების შესაბამისად, ადგილზე საქმდებიან სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები

+995577979950 potteria.se@gmail.com https://bit.ly/3f2s9BO / Potteria - პოტერია წინამძღვრიშვილის N60, თბილისი, საქართველო